განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის მინისტრი

20/10/2026

MES 4 26 0001487443

ბრძანება

თბილისი

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მიერ წარდგენილი განაცხადისა და განხორციელებული საქმიანობის შეფასების კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 31 დეკემბრის №641 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ მე-3 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 26 დეკემბრის №524 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ლ“ ქვეპუნქტებისა და „სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 იანვრის №28880 ბრძანების საფუძველზე და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 15 ოქტომბრის №1454165 და 2026 წლის 19 ოქტომბრის №1470058 წერილების გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მიერ წარდგენილი განაცხადისა და განხორციელებული საქმიანობის შეფასების კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის მინისტრი
გივი მიქანაძე



დანართი

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მიერ წარდგენილი განაცხადისა და განხორციელებული საქმიანობის შეფასების კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესი

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. რეგულირების საგანი და სფერო

1. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მიერ წარდგენილი განაცხადისა და განხორციელებული საქმიანობის შეფასების კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესი (შემდგომ - წესი), საქართველოს მთავრობის 2025 წლის 31 დეკემბრის №641 დადგენილებით დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ (შემდგომ – სქემა) შესაბამისად, განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსა (შემდგომ – სკოლა) და საგანმანათლებლო რესურსცენტრებში მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის შეფასების კომისიების (შემდგომ – კომისია) შექმნის, შემადგენლობის, საქმიანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესს.

2. წესი ვრცელდება სკოლებზე, საგანმანათლებლო რესურსცენტრებზე, სქემაში ჩართულ ფუნქციების შემსრულებელ ან/და კარიერული წინსვლის უფლების მქონე მასწავლებლებზე/სპეციალურ მასწავლებლებზე, კომისიის წევრებზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. თუ ამ წესით სხვაგვარად არ არის განმარტებული, ტერმინებს, რომლებიც გამოყენებულია ამ წესში და განმარტებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით ან სქემით, ენიჭება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით ან სქემით განსაზღვრული მნიშვნელობა.

2. წესში გამოყენებულ ტერმინებს, წესის მიზნებისთვის აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მასწავლებელი – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით“ (შემდგომ – მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი) განსაზღვრული პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც ერთ საგანს მაინც ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში;

ბ) სპეციალური მასწავლებელი – მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც დამოუკიდებლად ან საგნის მასწავლებელთან ერთად ასწავლის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს/მოსწავლეებს ან/და ინდივიდუალურად/ჯგუფურად მუშაობს მასთან/მათთან სწავლის შედეგების გაუმჯობესებისა და სხვადასხვა უნარის განვითარების მიზნით;

გ) საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს უფროსი, ხოლო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შემთხვევაში, ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი ან მინისტრის მიერ განსაზღვრული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შემთხვევაში, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს უფროსი;

დ) სკოლის კომისია – სკოლის დონეზე სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისია, რომელიც განიხილავს მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის განაცხადს და ანიჭებს მას შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილებას, აფასებს მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მიერ ფუნქციის შესრულების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგებს და სკოლას წარუდგენს საბოლოო შეფასებას;

ე) საგანმანათლებლო რესურსცენტრის კომისია – საგანმანათლებლო რესურსცენტრის დონეზე საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი კომისია, რომელიც განიხილავს მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის განაცხადს და ანიჭებს მას შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილებას, აფასებს მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მიერ ფუნქციის შესრულების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგებს და სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს წარუდგენს საბოლოო შეფასებას;

ვ) ერთობლივი კომისია - გამონაკლის შემთხვევაში, სკოლის დონეზე ორი ან მეტი სკოლისთვის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის მიერ შექმნილი ერთობლივი კომისია, რომელიც განიხილავს მასწავლებლის განაცხადს და ანიჭებს მას შესაბამისი საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილებას, აფასებს მასწავლებლის მიერ ფუნქციის შესრულების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგებს;

ზ) მოწვეული სპეციალისტი – კომისიის წევრი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია ზოგადი განათლების სფეროსთან, მათ შორის პირი, რომელიც ჩართულია სასწავლო პროცესში, მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაში, შეფასებაში ან საგანმანათლებლო

პროცესების მხარდაჭერაში, აგრეთვე შესაბამის სფეროში მოქმედი პროფესიული გაერთიანების წარმომადგენელი;

თ) მასწავლებელთა პროფკავშირის წარმომადგენელი – საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის (შემდგომ - მასწავლებელთა პროფკავშირი) მიერ წარდგენილი პირი;

ი) ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასების და კონსულტირების სპეციალისტი – სსიპ - საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდამჭერი ცენტრის (სამმართველოს) წარმომადგენელი;

კ) საგნობრივი ჯგუფი – „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი ჯგუფი;

ლ) განაცხადი – კარიერული წინსვლის მსურველი მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მიერ, მასწავლებლის შეფასების ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - ელექტრონული სისტემა) კარიერული წინსვლის სასურველი მიმართულებით გაკეთებული განაცხადი და სასურველი მიმართულებით ფუნქციის შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი ხედვა.

თავი II. კომისიების შექმნა და შემადგენლობა

მუხლი 3. კომისიის შექმნა

1. სკოლაში, რომელშიც სკოლის დონეზე ფუნქციის შესრულების ვალდებულების ან მასწავლებლის კარიერული წინსვლის უფლების მქონე სულ მცირე ერთი მასწავლებელია ან/და სულ მცირე ერთი სპეციალური მასწავლებელია, მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის შეფასების მიზნით სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება სკოლის კომისია.

2. საგანმანათლებლო რესურსცენტრში, მასწავლებლის შეფასების მიზნით, ხოლო თუ საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში მინიმუმ ერთი სპეციალური მასწავლებელია – სპეციალური მასწავლებლის შეფასების მიზნით, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება საგანმანათლებლო რესურსცენტრის კომისია.

3. სკოლა/საგანმანათლებლო რესურსცენტრი უფლებამოსილია მასწავლებლის ან/და სპეციალური მასწავლებლის შეფასების მიზნით შექმნას ერთზე მეტი კომისია სქემით განსაზღვრული მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის კარიერული წინსვლის მიმართულებების მიხედვით.

4. თუ სკოლაში სქემაში ჩართული მასწავლებლების რაოდენობა 1-დან 5-ის ჩათვლითაა, სკოლა, სკოლის დონეზე კომისიის შესაქმნელად მიმართავს საგანმანათლებლო რესურსცენტრს. თუ საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე გამოვლინდება არანაკლებ ორი ასეთი სკოლა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქმნის ერთობლივ კომისიას.

5. საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მხოლოდ ერთი სკოლის არსებობის შემთხვევაში საგანმანათლებლო რესურსცენტრი კომისიის დაკომპლექტებისთვის საჭირო წევრების გამოყოფის მიზნით შუამდგომლობით მიმართავს სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს.

6. შესაბამისი სასწავლო წლის მიმდინარეობისას სკოლაში სკოლის დონეზე ან საგანმანათლებლო რესურსცენტრის დონეზე ფუნქციის შესრულების ვალდებულების მქონე მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის დასაქმების შემთხვევაში, კარიერული წინსვლის დონის გათვალისწინებით, სკოლა/საგანმანათლებლო რესურსცენტრი ვალდებულია შეფასების პროცესის დაწყებამდე უზრუნველყოს შესაბამისი კომისიის შექმნა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული პოზიციისა და მიმართულებისთვის კომისია უკვე შექმნილია.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით შექმნილი კომისია უფლებამოსილია საქმიანობა განახორციელოს ამ მუხლის მე-8 პუნქტით დადგენილი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

8. კომისია იქმნება შესაბამისი სასწავლო წლის დაწყებამდე და მისი უფლებამოსილება გრძელდება სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი შესაბამისი სასწავლო წლის შეფასების ვადების გასვლამდე.

მუხლი 4. მასწავლებლის შეფასების მიზნით შექმნილი სკოლის კომისიის შემადგენლობა

1. სკოლის კომისიის წევრად უნდა განისაზღვროს სკოლის დირექტორი, სკოლის დირექტორის მოადგილე – არსებობის შემთხვევაში, მასწავლებელთა პროფკავშირის წარმომადგენელი, მოწვეული სპეციალისტი, თითოეული საგნობრივი ჯგუფიდან ერთი მასწავლებელი, რომელსაც აქვს სქემით განსაზღვრული ერთ-ერთი სტატუსი.

2. თითოეული საგნობრივი ჯგუფიდან მასწავლებელი შეირჩევა ამ წესის მე-8 მუხლის შესაბამისად.

3. სკოლაში, სადაც სქემაში ჩართული მასწავლებლების რაოდენობა 6-დან 15-ის ჩათვლითაა, სკოლის კომისიაში უნდა განისაზღვროს საგნობრივი ჯგუფის ორი მასწავლებელი, რომლებიც

შეიძლება წარმოადგენდნენ ნებისმიერ საგნობრივ ჯგუფს და რომელთა შერჩევაც ხდება ამ წესის მე-8 მუხლის შესაბამისად.

4. თუ საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე მხოლოდ ერთი ისეთი სკოლაა, რომელშიც სქემაში ჩართული, არანაკლებ უფროსი მასწავლებლის სტატუსის მქონე მასწავლებლების რაოდენობა 1-დან 5-ის ჩათვლითაა, საგანმანათლებლო რესურსცენტრი შუამდგომლობით მიმართავს სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს კომისიის დაკომპლექტებისთვის საჭირო საგნობრივი ჯგუფის წარმომადგენელი მასწავლებლების ნაცვლად სხვა წევრების განსაზღვრის მიზნით.

5. სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი შუამდგომლობის საფუძველზე სკოლას კომისიის დასაკომპლექტებლად წარუდგენს ორ კანდიდატს, რომლებიც სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრებიან კომისიის წევრებად, ამ სკოლის საგნობრივი ჯგუფის წარმომადგენელი მასწავლებლების ნაცვლად.

მუხლი 5. სპეციალური მასწავლებლის შეფასების მიზნით შექმნილი სკოლის კომისიის შემადგენლობა

1. სკოლის კომისიის წევრად უნდა განისაზღვროს სკოლის დირექტორი, სკოლის დირექტორის მოადგილე არსებობის შემთხვევაში, მასწავლებელთა პროფკავშირის წარმომადგენელი, მოწვეული სპეციალისტი, სქემით განსაზღვრული ერთ-ერთი სტატუსის მქონე ერთი სპეციალური მასწავლებელი.

2. თუ სკოლაში სქემაში ჩართული სულ მცირე ორი სპეციალური მასწავლებელია, თითოეული სკოლის კომისიისთვის კანდიდატს დირექტორს წარუდგენენ სპეციალური მასწავლებლის სქემით განსაზღვრული ერთ-ერთი სტატუსის მქონე სპეციალური მასწავლებლები ამ წესის მე-8 მუხლის შესაბამისად.

3. თუ სკოლაში სქემით განსაზღვრული სტატუსის მქონე მხოლოდ ერთი სპეციალური მასწავლებელია, კომისიის წევრი სპეციალური მასწავლებელი არ შეირჩევა და მის ნაცვლად კომისიაში მოიწვეული უნდა იქნას ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტი.

მუხლი 6. საგანმანათლებლო რესურსცენტრის კომისიის შემადგენლობა

1. მასწავლებლის შეფასების მიზნით შექმნილი საგანმანათლებლო რესურსცენტრის კომისიის წევრად უნდა განისაზღვროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი,

საგანმანათლებლო რესურსცენტრის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ პოზიციაზე ან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული სპეციალისტი, მასწავლებელთა პროფკავშირის წარმომადგენელი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული სამი სკოლის დირექტორი, ერთი მოწვეული სპეციალისტი.

2. სპეციალური მასწავლებლის შეფასების მიზნით შექმნილი საგანმანათლებლო რესურსცენტრის კომისიის წევრად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წევრების გარდა, დამატებით უნდა განისაზღვროს ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტი.

3. საგანმანათლებლო რესურსცენტრის თითოეული კომისიისთვის დირექტორთა კანდიდატებს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელს წარუდგენენ საგანმანათლებლო რესურსცენტრის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული სკოლების დირექტორები ამ წესის მე-8 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 7. ერთობლივი კომისიის შემადგენლობა

ერთობლივი კომისიის წევრად უნდა განისაზღვროს საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი, ერთობლივ კომისიაში გაერთიანებული ყველა სკოლის დირექტორი, მასწავლებელთა პროფკავშირის წარმომადგენელი, მოწვეული სპეციალისტი.

მუხლი 8. კომისიის წევრთა შერჩევა

1. შესაბამისი კომისიის წევრი საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის, სპეციალური მასწავლებლის ან დირექტორის კანდიდატის შესარჩევად სკოლის დირექტორი/საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი იწვევს შეხვედრას.

2. შეხვედრაზე დამსწრე წევრთაგან ხმათა უმრავლესობით აირჩევა შეხვედრის ხელმძღვანელი და შეხვედრის მდივანი. შეხვედრის თითოეული წევრი, მათ შორის შეხვედრის მდივანი, სარგებლობს თანაბარი, ერთი ხმის უფლებით.

3. შეხვედრა ფორმდება ოქმით. შეხვედრა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება უფლებამოსილ პირთა ნახევარზე მეტი.

4. შეხვედრაზე დამსწრე ნებისმიერ უფლებამოსილ პირს უფლება აქვს, წარადგინოს როგორც საკუთარი, ისე სხვა პირის კანდიდატურა.

5. საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის შერჩევისას ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული წესით კანდიდატი წარდგენილი უნდა იყოს იმავე საგნობრივი ჯგუფიდან.

6. კანდიდატები ირჩევიან ფარული კენჭისყრით. თუ ერთი კომისიის ფარგლებში შესარჩევია ერთზე მეტი წევრი, კენჭისყრა ტარდება ეტაპობრივად: თითოეულ ეტაპზე ყველაზე მეტი ხმის მიმღები პირი ითვლება არჩეულად და მომდევნო ეტაპზე კენჭს აღარ იყრის.

7. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში შეხვედრის ხელმძღვანელი დირექტორს/საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელს წარუდგენს ყველა თანაბარი ხმის მქონე კანდიდატს, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს დირექტორი/საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი.

8. თუ კანდიდატი არ იქნება წარდგენილი, კომისიის წევრს ირჩევს დირექტორი/საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი.

9. ერთზე მეტი კომისიის შემთხვევაში კანდიდატი თითოეული კომისიისთვის შეირჩევა ცალ-ცალკე კენჭისყრით; საგნობრივ ჯგუფს/სპეციალურ მასწავლებლებს/დირექტორებს უფლება აქვთ, სხვადასხვა კომისიაში წარადგინონ როგორც ერთი და იგივე, ისე სხვადასხვა კანდიდატი.

მუხლი 9. მასწავლებელთა პროფკავშირის წარმომადგენლისა და მოწვეული სპეციალისტის განსაზღვრა

1. სკოლისთვის/საგანმანათლებლო რესურსცენტრისთვის კომისიაში მასწავლებელთა პროფკავშირის წარმომადგენლის წარდგენა ხდება მასწავლებელთა პროფკავშირის მიერ. მასწავლებელთა პროფკავშირს ერთი და იმავე წარმომადგენლის წარდგენა შეუძლია არაუმეტეს ორ სკოლაში/ორ საგანმანათლებლო რესურსცენტრში.

2. სკოლაში მასწავლებლის შეფასების მიზნით შექმნილი სკოლის ერთზე მეტი კომისიის არსებობის შემთხვევაში მასწავლებელთა პროფკავშირი სკოლის ყველა კომისიისთვის წარადგენს ერთსა და იმავე წევრს.

3. სპეციალური მასწავლებლის შეფასების მიზნით შექმნილ სკოლის კომისიაში მასწავლებელთა პროფკავშირს შეუძლია წარადგინოს მასწავლებლის შეფასების მიზნით შექმნილ სკოლის კომისიაში წარდგენილი პირი ან მასწავლებელთა პროფკავშირის წევრი სპეციალური მასწავლებელი.

4. სპეციალური მასწავლებლის შეფასების მიზნით შექმნილ საგანმანათლებლო რესურსცენტრის კომისიაში მასწავლებელთა პროფკავშირს შეუძლია წარადგინოს მასწავლებლის შეფასების მიზნით შექმნილ საგანმანათლებლო რესურსცენტრის კომისიაში წარდგენილი პირი ან მასწავლებელთა პროფკავშირის წევრი სპეციალური მასწავლებელი.

5. მასწავლებელთა პროფკავშირი საგანმანათლებლო რესურსცენტრის კომისიაში წარადგენს პირს, რომელიც მის მიერ არ არის წარდგენილი მასწავლებლის ან სპეციალური მასწავლებლის შეფასების მიზნით შექმნილი რომელიმე სკოლის კომისიის წევრად.

6. მასწავლებელთა პროფკავშირის წარმომადგენელი არ უნდა იყოს იმ სკოლის თანამშრომელი, რომლის კომისიის წევრიცაა.

7. საგანმანათლებლო რესურსცენტრის კომისიის წევრი მასწავლებელთა პროფკავშირის წარმომადგენელი არ შეიძლება იყოს შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელი, ხოლო ერთობლივი კომისიის შემთხვევაში, ერთობლივ კომისიაში გაერთიანებული სკოლის/სკოლების თანამშრომელი.

8. სკოლის კომისიის მოწვეული სპეციალისტი არ შეიძლება იყოს იმ სკოლის თანამშრომელი, რომლის შეფასების კომისიის წევრიცაა, ხოლო საგანმანათლებლო რესურსცენტრის კომისიის მოწვეული სპეციალისტი არ შეიძლება იყოს შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელი.

9. ერთობლივი კომისიის მოწვეული სპეციალისტი არ შეიძლება იყოს შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსცენტრის ან ერთობლივ კომისიაში გაერთიანებული რომელიმე სკოლის თანამშრომელი.

თავი III. კომისიის მიერ მასწავლებლის/ სპეციალური მასწავლებლის მიერ წარდგენილი განაცხადის ან/და ფუნქციის შესრულების მიზნით განხორციელებული საქმიანობის შედეგების შეფასება

მუხლი 10. კომისიის საქმიანობა და შეფასების საერთო პირობები

1. კომისია განიხილავს მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის განაცხადს, აფასებს ფუნქციის შესრულების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგებს და შედეგებს წარუდგენს სკოლას/საგანმანათლებლო რესურსცენტრს.

2. კომისია საქმიანობას წარმართავს პირისპირ, ჰიბრიდულ ან სრულად დისტანციურ რეჟიმში, თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.

3. კომისიის მიერ მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის განაცხადის ან/და ფუნქციის შესრულების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგების შეფასება უნდა იყოს ობიექტური, მიუკერძოებელი, თანმიმდევრულად და თანაბრად გამოყენებული ყველა მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მიმართ.

მუხლი 11. კარიერული წინსვლის მსურველი მასწავლებლების/სპეციალური მასწავლებლების მიერ წარდგენილი განაცხადის შეფასება

1. კომისია განიხილავს მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში წარდგენილ განაცხადს.

2. მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის განაცხადის შეფასება მოიცავს, მის მიერ წარდგენილი ხედვის შეფასებასა და მასთან გასაუბრებას, სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ინსტრუმენტებითა და კრიტერიუმებით.

3. გასაუბრება მასწავლებელთან/სპეციალურ მასწავლებელთან ტარდება ხედვის გაცნობის შემდეგ.

4. კომისია გასაუბრებამდე უკავშირდება მასწავლებელს/სპეციალურ მასწავლებელს, აცნობს გასაუბრების თარიღს, დროს.

5. კომისია განაცხადის შეფასების შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) განაცხადის დაკმაყოფილების შესახებ;

ბ) განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების შემთხვევაში, მასწავლებელს/სპეციალურ მასწავლებელს სკოლის დირექტორის/რესურსცენტრის ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით უფლება ეძლევა, შეასრულოს არჩეული მიმართულების შესაბამისად განსაზღვრული ფუნქცია მიმდინარე სასწავლო წლის განმავლობაში.

7. საქმიანობის განხორციელების პარალელურად, მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი ვალდებულია, გაიაროს შესაბამისი დონისა და მიმართულების სპეციალური კურსი.

8. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის ოქმში, რომელიც წარედგინება სკოლას/საგანმანათლებლო რესურსცენტრს ორი სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 12. კარიერული წინსვლის მსურველი მასწავლებლების/სპეციალური მასწავლებლების მიერ კარიერული წინსვლის მიზნებისთვის განხორციელებული საქმიანობის შეფასება

1. კომისია მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის შეფასებისას ეყრდნობა მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ფუნქციის შესრულების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის როგორც პროცესის, ისე მიღწეული შედეგების ამსახველ მასალებს.

2. კომისია, შეფასების პროცესის ფარგლებში, მასწავლებელთან/სპეციალურ მასწავლებელთან ნიშნავს გასაუბრებას, რომლის მიზანია წარმოდგენილი მასალების დაზუსტება და განხორციელებული საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება.

3. კომისია გასაუბრებამდე უკავშირდება მასწავლებელს/სპეციალურ მასწავლებელს, აცნობს გასაუბრების თარიღსა და დროს.

4. კომისია მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ მასალებს და გასაუბრებას აფასებს სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ინსტრუმენტებითა და კრიტერიუმებით.

5. კომისია იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) საქმიანობის შედეგების დადებითად შეფასების შესახებ;

ბ) საქმიანობის შედეგების უარყოფითად შეფასების შესახებ.

6. იმ შემთხვევაში თუ მასწავლებელს/სპეციალურ წარმატებით აქვს გავლილი სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებული ან დადგენილი წესის შესაბამისად აღიარებული სტატუსის და/ან ფუნქციის შესრულების უფლების მოპოვების სპეციალური კურსი, ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების შემთხვევაში, კომისია იღებს გადაწყვეტილებას სტატუსის ცვლილებაზე წარდგინების შესახებ.

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების შემთხვევაში, კომისია ვალდებულია გასცეს არგუმენტირებული უკუკავშირი.

8. საგანმანათლებლო რესურსცენტრის დონეზე მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის საქმიანობის შედეგების დადებითად შეფასებისა და სტატუსის ცვლილებაზე წარდგინების ან/და ფუნქციის შესრულების უფლების მინიჭებისთვის აუცილებელია, მასწავლებელს/სპეციალურ მასწავლებელს იმავე სასწავლო წელს სკოლის დონეზე დადებითად შეუფასდეს იმ მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა, რომელი მიმართულებითაც სურს კარიერული წინსვლა.

9. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის ოქმში, რომელიც წარედგინება სკოლას/საგანმანათლებლო რესურსცენტრს ორი სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 13. ფუნქციის შესრულების ვალდებულების მქონე მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მიერ ფუნქციის შესრულების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგების შეფასება

1. კომისია მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის შეფასებისას ეყრდნობა მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ფუნქციის შესრულების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის როგორც პროცესის, ისე მიღწეული შედეგების ამსახველ მასალებს.

2. კომისიას, საჭიროების შემთხვევაში, უფლება აქვს, შეფასების პროცესის ფარგლებში, მასწავლებელთან/სპეციალურ მასწავლებელთან დანიშნოს გასაუბრება, რომლის მიზანია წარმოდგენილი მასალების დაზუსტება და განხორციელებული საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება.

3. კომისია გასაუბრებამდე უკავშირდება მასწავლებელს/სპეციალურ მასწავლებელს, აცნობს გასაუბრების თარიღსა და დროს.

4. კომისია მასწავლებლის მიერ ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ მასალებს და გასაუბრებას აფასებს სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ინსტრუმენტებითა და კრიტერიუმებით.

5. კომისია იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) საქმიანობის შედეგების დადებითად შეფასების შესახებ;

ბ) საქმიანობის შედეგების უარყოფითად შეფასების შესახებ.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების შემთხვევაში, კომისია ვალდებულია გასცეს არგუმენტირებული უკუკავშირი.

7. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მასწავლებელს/სპეციალურ მასწავლებელს ეკისრება უარყოფითად შეფასებულ მიმართულებაში პროფესიული განვითარების ვალდებულება.

8. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში მასწავლებელს/ სპეციალურ მასწავლებელს ვალდებულება აქვს პროფესიული განვითარების პროცესის პარალელურად შეასრულოს ფუნქცია იმავე მიმართულებით.

9. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის ოქმში, რომელიც წარედგინება სკოლას/საგანმანათლებლო რესურსცენტრს ორი სამუშაო დღის ვადაში.

10. სკოლა/საგანმანათლებლო რესურსცენტრი კომისიის გადაწყვეტილებას სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულ ვადაში ასახავს ელექტრონულ სისტემაში.

თავი IV. კომისიის სხდომა და დოკუმენტაცია

მუხლი 14. თავმჯდომარე და მდივანი

1. სკოლის კომისიის თავმჯდომარეა სკოლის დირექტორი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის კომისიისა და ერთობლივი კომისიის – საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი.

2. თავმჯდომარე წარმართავს კომისიის სხდომებს, უზრუნველყოფს კვორუმის დაცვას და გადაწყვეტილებების დოკუმენტირებას. თავმჯდომარის არყოფნისას კომისია კონკრეტული სხდომისთვის ერთჯერადად ირჩევს სხდომის თავმჯდომარეს სხდომაზე დამსწრე წევრთაგან.

3. კომისიის მდივანს ნიშნავს თავმჯდომარე კომისიის წევრთაგან; მდივანი სარგებლობს ხმის მიცემის თანაბარი უფლებით და პასუხისმგებელია ოქმის, გადაწყვეტილებათა ჩანაწერებისა და საქმისწარმოების სისრულეზე. მდივნის არყოფნისას კომისია ერთჯერადად ირჩევს სხდომის მდივანს დამსწრე წევრთაგან.

4. მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის მიერ დოკუმენტაციის ატვირთვის ვადის ამოწურვის შემდეგ მდივანი ვალდებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩამოტვირთოს ატვირთული დოკუმენტაცია და გადაუგზავნოს კომისიის იმ წევრებს, რომლებსაც ელექტრონულ სისტემასთან წვდომა არ აქვთ.

მუხლი 15. კვორუმი და გადაწყვეტილების მიღება

1. კომისია უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ სამი წევრისა. კვორუმის არარსებობისას თავმჯდომარე ნიშნავს ახალ სხდომას გონივრულ ვადაში, სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით დადგენილი ვადების გათვალისწინებით.

2. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

მუხლი 16. კომისიის წევრის აცილება

1. კომისიის წევრი, რომელიც არის შესაფასებელი მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი ან მისი ახლო ნათესავი, არ შეიძლება მონაწილეობდეს შეფასების პროცესში.

2. ამ წესის მიზნებისათვის „ახლო ნათესავში“ იგულისხმება „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

3. საგანმანათლებლო რესურსცენტრის დონეზე მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის შეფასების მიზნით შექმნილი კომისიის წევრი არ მონაწილეობს იმ მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის შეფასების პროცესში, რომელიც იმავე სკოლაშია დასაქმებული, რომელსაც აღნიშნული კომისიის წევრი წარმოადგენს.

4. კომისიის წევრი ვალდებულია, სხდომის დაწყებამდე განაცხადოს ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტით გათვალისწინებული, აგრეთვე, ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის ობიექტურ შეფასებაზე ან მის მიმართ გადაწყვეტილების მიუკერძოებლად მიღებაზე და, ასეთი გარემოების არსებობის შემთხვევაში, კონკრეტული კანდიდატის საკითხის განხილვისას განაცხადოს თვითაცილება.

5. თვითაცილების საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, კომისიის წევრი არ მონაწილეობს შესაბამისი საკითხის განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, ხოლო თვითაცილების ფაქტი აისახება სხდომის ოქმში.

6. თუ კომისიის წევრი არ განაცხადებს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოების არსებობის შესახებ, ხოლო აღნიშნულის შესახებ კომისიისათვის ცნობილი გახდება შეფასების მიმდინარეობისას, კომისიის ამ წევრის მიერ კანდიდატის შეფასება არ იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

7. მასწავლებელი/სპეციალური მასწავლებელი უფლებამოსილია, კომისიის წინაშე დააყენოს კომისიის წევრის აცილების საკითხი, შესაბამისი გარემოებების არსებობისას, წერილობითი, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე. განცხადება უნდა შეიცავდეს იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც ადასტურებს აცილების საფუძვლის არსებობას.

8. განცხადების საფუძველზე, კომისიის წევრის აცილებაზე გადაწყვეტილებას იღებს კომისია.

მუხლი 17. ერთობლივი კომისიის წევრის კენჭისყრაში მონაწილეობის შეზღუდვა

1. მასწავლებლის მიერ წარდგენილი განაცხადის ან მასწავლებლის მიერ ფუნქციის შესრულების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგების შეფასებისას, ერთობლივი კომისიის წევრი, რომელიც იმავე სკოლაში დასაქმებული პირია, არ მონაწილეობს ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით გამართულ კენჭისყრაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირს უფლება აქვს შესაბამისი საკითხის განხილვისას დააფიქსიროს საკუთარი აზრი.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრაში მონაწილეობის შეზღუდვა არ ვრცელდება ერთობლივი კომისიის წევრ იმ სკოლის დირექტორზე, რომლის სკოლაშიც დასაქმებულია შესაფასებელი მასწავლებელი.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები აისახება ერთობლივი კომისიის სხდომის ოქმში.

მუხლი 18. კომისიის სხდომის ოქმი

1. კომისიის ყოველი სხდომა ფორმდება ოქმით, რომელიც შეიცავს:

ა) სხდომის თარიღს, ადგილს (ან რეჟიმს) და დამსწრე წევრთა სიას;

ბ) განხილული საკითხების შეჯამებას;

გ) გადაწყვეტილებას შესაბამისი დასაბუთებით;

დ) განსხვავებული მოსაზრების ჩანაწერს (ასეთის არსებობისას);

ე) უარყოფითი შეფასებისას – არგუმენტირებულ უკუკავშირს;

ვ) ფუნქციის შესრულების ვალდებულების მქონე მასწავლებლის საქმიანობის უარყოფითი შეფასებისას – პროფესიული განვითარების გეგმას;

2. კომისიის ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

3. კომისიის ოქმი დგება სხდომის ჩატარებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.

4. მასწავლებელს/სპეციალურ მასწავლებელს, რომლის განაცხადი ან საქმიანობა შეფასდა, უფლება აქვს წერილობითი განაცხადით გაეცნოს ოქმის იმ ნაწილს, რომელიც მისი შეფასების საკითხს ეხება.

მუხლი 19. კონფიდენციალობა

1. მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის შეფასებაში მონაწილე თითოეული მხარე ვალდებულია დაიცვას და არ გაახმაუროს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა შეფასების პროცესში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში პირს ეკისრება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

თავი V. გარდამავალი დებულებები

მუხლი 20. კომისიების შექმნა 2026–2027 სასწავლო წლის განმავლობაში

1. 2026–2027 სასწავლო წლის განმავლობაში კომისიები იქმნება ამ წესის ამოქმედებიდან სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში;

2. ამ მუხლით შექმნილი კომისიების უფლებამოსილება გრძელდება 2026-2027 სასწავლო წლისთვის დადგენილი შეფასების ვადების ამოწურვამდე.